საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-925

19/10/2020

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯიას“ 5500 მ³ ტევადობის ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (20000 ტონა წლიური ტვირთბრუნვის გაზრდა 60000 ტონა წლიურ ტვირთბრუნვამდე) პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და I დანართის 29-ე პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, ქ. თბილისში, შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯიას“ 5500 მ³ ტევადობის ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (20000 ტონა წლიური ტვირთბრუნვის გაზრდა 60000 ტონა წლიურ ტვირთბრუნვამდე) პროექტზე სკოპინგის დასკვნა №81 (06.10.2020);
2. შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯია“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს №81 (06.10.2020) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯიას“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და სამგორის რაიონის გამგეობის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი